ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5930454

ნომერი: AR1896870

თარიღი : 05.05.2022

გაცემის თარიღი : 10.05.2022

გაცნობის თარიღი : 10.05.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ლაზარიაშვილი პ/ნ 01008061337
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 6 ბ. 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
-მინდობილობაში მითითებული იოსებ ლაზარიაშვილის პირადი ნომერი არ ემთხვევა განმცხადებლის პირად ნომერს, შესაბამისად შესწორდეს აღნიშნული და წარმოდგენილ იქნეს განმცხადებელეზე გაცემული მინდობილობა.
საჭიროა წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და განახლებული ამონაწერის წარმოდგენა. აგრეთვე, წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
-არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : დამატებით წარმოდგენილ იქნას შორი ხედიდან გადაღებული ფოტომასალაც, სადაც გამოჩნდება არსებული შენობა და მიმდებარე ტერიტორია. ასევე წარმოადგინეთ უშუალოდ ის ფოტოსურათი, რომელზეც დამუშავებულია ფოტომონტაჟი. ფოტოსურათები წარმოდგენილი უნდა იქნას დათარიღებული სახით.
-ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : ფოტომონტაჟზე წარმოსახვითი საზღვრებით მონიშნეთ თქვენს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადი, მიუთითეთ გაბარიტული ზომები და აღნიშნულის შესაბამისად დაიანგარიშეთ საპროექტო აბრის პროცენტულობა; გაითვალისიწინეთ, რომ „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად, დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრების პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.
-ცალკე მდგომ კონსტრუქციაზე მოწყობილი სარეკლამო აბრა წარმოადგინეთ არსებული კონსტრუქციის გაბარიტების უცვლელად. გაითვალისწინეთ, რომ ვერ დგინდება აღნიშნული კონსტრუქციის კანონიერების საკითხი (უკანონო სამუშაოების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს), იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტაციიდან ამოღებული იქნას აღნიშნულ ნაწილზე მოთხოვნილი სამუშაოები.
-დამატებით წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის ჩვენებით.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.